აუტსაიდერს მიაქვს ქულა

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 17 აგვისტო.

“დინამო” (თბილისი) – ასკ (დონის როსტოვი) 1:1 (0:1).

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, ხიზანიშვილი, მ. მაჩაიძე, ასათიანი (კოპალეიშვილი), ქორიძე, გ. მაჩაიძე, ყიფიანი, წერეთელი.

ასკ: ფორკაში, გონჩაროვი, ლოხოვი, ბაბენკო, ალექსანდროვი, საუხი, ანტონოვი, პლეშაკოვი (იაკუბოვი), ბურკინი, ნაზარენკო (ნაგოევი), ციბინი.

მსაჯი: ვ. რუდნევი (მოსკოვი).

გაფრთხილებულია ა. პლეშაკოვი.

დუბლიორები – 1:2.

რამ შეიძლება იხსნას როსტოვის არმიელთა გუნდი პირველ ლიგაში გადასვლისგან? ალბათ, სასწაულმა, ვინაიდან გუნდმა ჩემპიონატის მსვლელობაში იმდენი ქულა დაკარგა, რომ ორი ადგილით წინ გადანაცვლება, ესე იგი შვიდქულიანი განსხვავების გაქარწყლება მისთვის ნამდვილი სპორტული გმირობა იქნება. ძნელზე ძნელი პრობლემის წინაშე დგანან როსტოველი ფეხბურთელები.

მაგრამ, რაც უფრო რთულია ამოცანა, მით უფრო თავგამოდებით და ენერგიულად იბრძვის გუნდი და ეს პირველ ყოვლისა უნდა გაეთვალისწინებინათ თბილისის დინამოელებს 17 აგვისტოს მატჩისთვის სამზადისის დროს, ამასთან, მხედველობაში მიეღოთ ისიც, რომ ერთ ტურით წინ აუტსაიდერმა დაამარცხა ჩემპიონატის ერთ–ერთი ლიდერი – მოსკოვის “დინამო”. ჩვენმა გუნდმა კი თამაში ისე დაიწყო, თითქოს 2 ქულა ზედმეტი გართულებების გარეშე, თავისთავად მოვიდოდა. საკუთარი ძალების რწმენა, რა თქმა უნდა საჭიროა, მაგრამ ზედმეტ თვითდაჯერებას, მეტოქის ძალების შეუფასებლობას კარგი შედეგი არ მოსდევს…

ამჯერადაც ასე მოხდა, დინამოელებმა დაბალი ტემპით, აუჩქარებლად დაიწყეს თამაში, კომბინაციების უმეტესობა ხორციელდებოდა არა წინ, მეტოქის კარისკენ, არამედ მინდვრის სიგანეზე, ნახევარდაცვის ზონაში. მათი დიდი ნაწილი მთავრდებოდა უზუსტო გადაცემებით, ბურთის უსარგებლო ტარებით. ხშირად კარგავდნენ ბურთს ყიფიანი, ასათიანი, წერეთელი, ქორიძე. პირველი ტაიმის მსვლელობაში სტუმრების კართან რამდენადმე მაინც სახიფათო მომენტი, გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა არც შექმნილა.

და ეს მაშინ, როცა როსტოველები თამაშობდნენ დიდი მონდომებით, მობილიზებულად, სწრაფად. ტერიტორიული უპირატესობა მათ, მართალია, არა ჰქონიათ, მაგრამ ყოველ კონტრშეტევას ჰქონდა მოფიქრებული, კონკრეტული ხასიათი, მასში მუდამ იყო მოულოდნელობის ელემენტი და მეკარე გოგიას რამდენიმეჯერ მოუხდა ძნელი ბურთის აღება. ერთხელ მისი კარი ძელმა იხსნა პლეშაკოვის დარტყმის შემდეგ, 37–ე წუთზე კი გოგია უძლური იყო აეღო ანტონოვის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი. შეტევა მარჯვნიდან წამოიწყო ბურკინმა, კარის წინ გამართულ ბრძოლაში მცველებმა ვერ შეძლეს ხიფათის მოგერიება და მწვავე ეპიზოდი გოლით დამთავრდა.

მასპინძლებმა მხოლოდ მეორე ტაიმში გამოასწორეს თამაში. მართალია, შეცდომებს კვლავ უშვებდნენ, შეტევები ისევ დაყოვნებებით და დროის დიდი

დაკარგვით ვითარდებოდა, რომელთა დროსაც არმიელები იოლად ასწრებდნენ დაცვის ორგანიზებას, მაგრამ დინამოელთა უპირატესობა ცხადი იყო, ბრძოლაც ძირითადად მეტოქის ნახევარზე მიმდინარეობდა.

საპასუხო გოლი გავიდა 55–ე წუთზე: წერეთელმა მიიღო ქორიძის გადაცემა, გაუსხლტა მცველებს და ანგარიში გაქვითა.

შემდგომ თბილისელები განაგრძობდნენ შეტევებს, არმიელთა დაცვას და მეკარეს დიდი დატვირთვის გადატანა მოუხდათ, ხშირად სტუმართა მთელი გუნდი უკან იხევდა კრიტიკულ მომენტებში… საბოლოოდ აუტსაიდერმა შეძლო ქულის შენარჩუნება, თბილისის "დინამოს" დანაკარგმა კი ბოლო სამ მატჩში 4 ქულას მიაღწია.

რ. ქორიძე.
"ლელო", 19 აგვისტო, 1975 წ.